სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 110

ქ.გორი **2019 წელი.**

ერთის მხრივ გორის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გორის მუნიციპალიტეტის მერის **კონსტანტინე თავზარაშვილი** სახით და მეორეს მხრივ **შპს „კომპანია Geosm”** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის **თეიმურაზ ახობაძე** სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები,ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთების **(CPV-22800000)** შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტი: მოცემულია **დანართი #1 -ში ,** რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

3. ხელშეკრულებისსაერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი მოცემულია დანართი #1 -ში , რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **4490,50 (ოთხიათასოთხასოთხმოცდაათი და 50 თეთრი)** ლარს, საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4. საქონლის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 **(ათი) სამუშაო დღეში.**

4.2 მიწოდების ადგილია – **ქ.გორი.გრიგოლ ფერაძის ქ#5**

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ნივთობრივად უნაკლო საქონელი..

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1**შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის ფაქტიური მიწოდების და შემსყიდველის მიერ საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით შეტყობინების (წერილის) გამოგზავნის შემდგომ - ელ. ფოსტის მისამართზე** **gorimunicipaliteti@gmail.com**

5.2მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **თამაზ უკანწყაროელი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.**

5..3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს

შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6. ანგარიშსწორება და ფასები

6.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

6.2 ანგარიშსწორება მოხდება მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტების გაფორმებიდან არა უგვიანეს **10 სამუშაო** დღის განმავლობაში.

6.3 დაფინანსების წყარო - **ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით**.

6.4 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

6.5 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

6.6 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

7. საქონლის ხარისხი და გარანტია - „საგარანტიო პირობა."

7.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას , რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრისმიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულებისპირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივადშეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;

11.2 ხელშეკრულების ცაკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან;

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგანწერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით

ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. გამოყენებული სამართალი

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.ინსპექტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებათან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია **2019წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.**

17. სხვა პირობები

17.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები,მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.2 მესამე პირთანურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე **PDF** ფაილის სახით და ხელმოწერილია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით.

18. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

გორის მუნიციპალიტეტის მერია

ს/კ 218086087

გორი, ფერაძის №5

სახელმწიფო ხაზინა

კოდი: TRESGE22

ა/№ 300843460

გორის მუნიციპალიტეტის მერი - კონსტანტინე თავზარაშვილი

Gori Municipality

Digitally signed by Gori Municipality
Date: 2019.10.24 15:29:36 +04'00'

მიმწოდებელი:

შპს „კომპანია Geosm "

ს/კ: 404 873 614

ტელ: 0322 72 19 91 / 0322 14 91 19

ქ.თბილისი; მ.ასათიანის #14

ბანკი: პროკრედიტ ბანკი ც/ფ (MIBGGE22)

ა/ა: GE45PC0223600100010827

შპს „კომპანია Geosm"" -ის დირექტორი - თეიმურაზ ახობაძე

Teimuraz Akhobadze

Digitally signed by Teimuraz Akhobadze
Date: 2019.10.24 14:23:28 +04'00'

დანართი #1						
№	cpv-კოდი	დასახელება	საზომი ერთ.	რაოდენობა	ერთ.ღირებულება	ჯამი
1	22851000	ბაინდერი A4 70mm.	ცალი	200.00	3	600.00
2	22851000	ბაინდერი A4 50mm.	ცალი	60.00	3	180.00
3	22816100	ბლოკნოტი A5 ტყავის ყდით არანაკლებ 100 ფურცელი	ცალი	160.00	7	1,120.00
4	22852100	ფაილი A4, არანაკლებ 30 mic X100	ცალი	200.00	3.96	792.00
5	22852000	საქაღალდე პოლიეთილენის_რეზინით	ცალი	100.00	2.46	246.00
6	22810000	საკანცელარიო წიგნი A4 X40	ცალი	30.00	0.99	29.70
7	22810000	საკანცელარიო წიგნი A4 X96	ცალი	30.00	1.98	59.40
8	22852000	საქაღალდე სქელი ყდით ქაღალდის A4	ცალი	25.00	0.32	8.00
9	22832000	წებოვანი ქაღალდი არანაკლებ 76X76mm	ცალი	350.00	3	1,050.00
10	22832200	ჩასანიშნი ქაღალდი არანაკლებ 85*85mm. X500	ცალი	100.00	2.89	289.00
11	22832000	წებოვანი პლასტიკის სანიშნი, 7 ფერი არანაკლებ 12*44mm, X100.	ცალი	40.00	0.96	38.40
12	22852000	საქაღალდე ფერადი A4 კნოპკით	ცალი	100.00	0.78	78.00
სულ						4,490.50